სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№01-04/31 § 27.06. 2018 წ. 35

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსი;
2. შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის მიმართულებები, პროექტის შეფასების კრიტერიუმები და კონკურსთან დაკავშირებული სხვა პირობები განსაზღვრულია „სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი“-ს შესახებ აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №193 დადგენილებით;
3. გამოცხადდეს საგრანტო კონკურსის საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება 2018 წლის 10 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით, 10^{00} სთ.-დან 16^{00} სთ.-მდე მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №59, I კორპუსი, აუდ. №1202 (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტაციას სარეგისტრაციოდ წარადგენს პროექტის ხელმძღვანელი.
4. საგრანტო დაფინანსების საერთო ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვროს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;
5. საპროექტო განაცხადის დოკუმენტაცია უნდა ჩაბარდეს როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული სახით მყარ დისკზე (CD/DVD), რომელიც ელექტრონულად აიწყობა Word-ს დოკუმენტში, A4

ფორმატის ფურცლის ზომებში, არე მარცხნიდან - 3 სმ, ზევიდან - 2 სმ, ქვევიდან - 2 სმ და მარჯვნიდან - 2 სმ. ტექსტის სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.15 (Single), სათაურებსა და ტექსტს შორის, ცხრილებსა და ტექსტს შორის დასაშვებია უფრო მაღალი ინტერვალი; დოკუმენტის შრიფტი - Sylfaen, ზომა - 12;

6. პროექტების შეფასება შიდასაფაკულტეტო კომისიის მიერ განხორციელდეს 2018 წლის 27 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო 2018 წლის 3 სექტემბერს გამოცხადეს კონკურსის პირველი ეტაპის შედეგები;
7. კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2018 წლის 4-6 სექტემბერი, ხოლო აპელაციის შედეგები გამოცხადდეს 7 სექტემბერს. სააპელაციო განაცხადს წარადგენს და სააპელაციო განაცხადის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.
8. კონკურსის პირველი ეტაპის საბოლოო შედეგების მიხედვით, დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროექტების შეფასება განხორციელდეს 2018 წლის 10 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო 2018 წლის 17 სექტემბერს გამოცხადდეს კონკურსის მეორე ეტაპის შედეგები;
9. კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების აპელაციის პერიოდად განისაზღვროს 2018 წლის 18-20 სექტემბერი. სააპელაციო განაცხადს წარადგენს და სააპელაციო განაცხადის განხილვაში მონაწილეობს მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელი.
10. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2018 წლის 24 სექტემბერს;
11. გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს 2018 წლის 25 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით;
12. გამარჯვებული საგრანტო პეროექტ(ებ)ის განხორციელება დაიწყოს 2018 წლის 1 ოქტომბერს;
13. კონკურსის შესახებ ინფორმაცია („სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შიდასაფაკულტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი“, „პროექტის სააპლიკაციო ფორმა“ და „პროექტის ბიუჯეტის ფორმა“) გამოქვეყნდეს აწსუ-ს ვებგვერდზე (http://atsu.edu.ge) და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე.
14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი: **გიორგი ღავთაძე**

დეკანი: **აკაკი ბაკურაძე**